გიორგი გაგნიძე

მპგ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს

თავმჯდომარეს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს

მპგ „შეცვალე საქართველო“-ს თავმჯდომარის

გიორგი გაგნიძის

ტენდერების სისტემის დახვეწა და ამონთავისუფლებული თანხებით ხალხის დამატებითი დახმარების

შეთავაზება

ბატონო ბიძინა,

მპგ „შეცვალე საქართველო“ დაარსების დღიდან ისწრაფვის საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესებისა და კეთილდღეობისთვის.

ჩვენს გუნდს ჩამოყალიბებული აქვს მკაფიო და ქმედით პუნქტებად გაწერილი სამოქმედო გეგმა, რომელიც საშუალებას იძლევა მივიღოთ სწრაფი და ეფექტური შედეგი.

მოცემული მომენტისთვის უადგილოა პოლიტიკური კინკლაობა და საკუთარი ამბიციებისთვის ქვეყნის ინტერესების შეწირვა. სწორედ ამიტომ, გვსურს წარმოგიდგინოთ ჩვენი ინიციატივა სახელმწიფო ტენდერებში თანხების არამიზნობრივი ხარჯვისა და ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა რგოლებში კარტელური გარიგების გზით ფინანსების ოპტიმიზაციისთვის. სავსებით რეალურია 2021 წელსვე ჩვენი სიღრმისეული გამოცდილების ხარჯზე მოვახდინოთ სახელმწიფო შესყიდვებში (ტენდერები) თანხების მასშტაბური დაზოგვა და ამონთავისუფლებული თანხებით ხალხის ბანკების სესხების დაფარვა მინიმუმ პანდემიის პერიოდში.

თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ შესაძლებელია 2021 წელს მინ. 500 მილიონის ამონთავისუფლება, 2022 წელს მინ. მილიარდი ლარის ამონთავისუფლება და 2023 წელს მინ. 1,5 მილიარდი ლარის ამონთავისუფლება, რისთვისაც საჭიროა წვდომა შესაბამის უწყებებში, იქნება ეს თანამდებობრივი თუ დამატებითი მაკონტროლებელი რგოლის სახით.

პატივისცემით,

მპგ „შეცვალე საქართველო“-ს თავმჯდომარე,

გიორგი გაგნიძე

შეცვალე

რუსთაველის გამზ. 14. თბილისი 0108, საქართველო

+995 32 298 21 21 • 21@modefy.world

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „შეცვალე საქართველო“

WWW.MODEFY.WORLD